დანართი №3

დამტკიცებულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

2014 წლის „ 11.07 „

№101/02-01 ბრძანებით

კომისიის მუშაობის წესი

მუხლი 1. შერჩევის მიზანი

1. შერჩევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

2. კომისიის მუშაობის წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებელის შერჩევა;

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და სულ მცირე 3 (სამი) წევრის შემადგენლობით;

მუხლი 3. კომისიის მუშაობა

1. კომისიის ყველა სხდომა არის დახურული;

2. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფედენციალურობა და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე;

3. კომისიის ფუნქციები:

ა) შერჩევის პროცედურის ორგანიზება დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) აპლიკანტების კანდიდატურის განხილვა;

გ) სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში აპლიკანტის დოკუმენტაციის მოხსნა;

დ) შერჩევის შედეგად რეკომენდირებული კანდიდატების წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის;

4. კომისიის თავმჯდომარეს ევალება:

ა) კომისიის ხელმძღვანელობა, მისი მუშაობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და წინამდებარე წესის საფუძველზე;

ბ) კომისიის სხდომების დანიშვნა, მათი ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა;

გ) სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი;

დ) კომისიის სხდომების წარმართვა;

5. კომისიის მდივანს ევალება:

ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;

ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;

გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება;

დ) კომისიის თავმჯდომარის იმ დავალებების შესრულება, რომელიც კომისიის მუშაობასთანაა დაკავშირებული;

6. კომისიის სხდომების ოქმებში უნდა დაფიქსირდეს:

ა) სხდომის თარიღი;

ბ) დამსწრე წევრთა ვინაობა;

გ) სხდომაზე კენჭისყრის ჩატარების შემთხვევაში – შედეგები;

დ) მიღებული გადაწყვეტილება.

7. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრების ნახევარი მაინც. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში სხდომა დაინიშნოს სხვა დროს.

8. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, ხოლო დასკვნას ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ღია კენჭისყრით.

9. კომისია უფლებამოსილია აპლიკანტს მოსთხოვოს სააპლიკაციო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა კომისიის მიერ დადგენილ ვადებში;

10. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გახსნა ხდება კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის არანაკლებ 3 (სამი) წევრის თანდასწრებით.

11. კომისია უფლებამოსილია შერჩევიდან მოხსნას აპლიკანტი, თუ:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს არასწორ ინფორმაციას;

ბ) წარმოდგენილი დიპლომი არარელევანტურია;

გ) დოკუმენტაცია გაყალბებულია;

დ) აპლიკანტმა კომისიის მიერ დადგენილ ვადაში არ/ვერ წარმოადგინა კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები;

ე) არ გამოცხადდა ან უარი განაცხადა გასაუბრებაზე.

10. კომისიის სრული დოკუმენტაცია შერჩევის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა თსუ კანცელარიას.

მუხლი 4. აპლიკანტის შეფასება

1. აპლიკანტის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება უმაღლესი განათლების შესაბამისობა და პედაგოგიური გამოცდილება, ასევე აპლიკანტთა სხვა აქტივობები, პროფესიული მიღწევები, დამსახურება და რეპუტაცია.
2. აპლიკანტის შეფასება ენის სპეციფიკის გათვალისწინებით განხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით (დანართი 3.1.);

მუხლი 5. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, ხოლო კომისიის მუშაობის შედეგებს ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ღია კენჭისყრით;

2. შერჩეულ კანდიდატად ჩაითვლება აპლიკანტი, რომელსაც ხმას მისცემს კომისიის წევრთა უმრავლესობა. თუ შერჩეულ კადიდატთა რაოდენობა აღემატება ვაკანტური ადგილის რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა საბოლოო გამარჯვებულის გამოვლენამდე.

3. აპლიკანტთა მიერ ხმათა არასაკმარისი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, ადგილები რჩება ვაკანტური;

4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზე

შერჩეულ მასწავლებლებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები;

მუხლი 6. დავების გადაწყვეტა

1. შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №3.1

დამტკიცებულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

2014 წლის „ 11.07 „

№101/02-01 ბრძანებით

კრიტერიუმები
უმაღლესი განათლების დიპლომი
1.საქართველოში (მაგისტრი, მაგისტრთან გათანაბრებული)
2. უცხოური (მაგისტრი, მაგისტრთან გათანაბრებული)
3. დოქტორანტურა უცხოეთში (სრული კურსი)
აკადემიური ხარისხი
1.მეცნიერებათა დოქტორი
2.დოქტორანტი
პედაგოგიური გამოცდილება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში
1. 3 წელი
2. 5 წელზე მეტი
უცხო ენის სერტიფიკატი
1. C1/C2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი
2. ინგლისურ ენაზე გავლილი ტრენინგები (ქართული ენის მასწავლებლისთვის)
ტრენინგებში/სემინარებში მონაწილეობა
1. ენობრივი კომპეტენციის ასამაღლებელი სემინარი/ტრენინგი
1.1. მოკლევადიანი (ადგილობრივი)

1.2. გრძელვადიანი 10 საათი და მეტი (ადგილობრივი საერთაშორისო) (წერა, კითხვა, მოსმენა, მეტყველება, აკადემიური წერა)
1.3. ტრენინგები უცხოეთში
1.3. ქართული, როგორც მეორე/უცხო ენა (წერა, კითხვა, მოსმენა, მეტყველება, აკადემიური წერა)
2. მეთოდური სემინარი/ტრენინგი (უცხო ენის გაკვეთილის მეთოდიკა-დიდაქტიკა, გაკვეთილის დაგეგმვა, შეფასება, შეცდომების გასწორება და სხვა)
2.1. მოკლევადიანი (ადგილობრივი)
2.2. გრძელვადიანი (ადგილობრივი საერთაშორისო)
2.3. გრძელვადიანი ონ–ლაინ ტრენინგები
2.4.ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის სტრატეგიები და მეთოდები
3. დარგობრივი სემინარი/ტრენინგი (სპეციალიზირებული ენა იურისტებისათვის და ა.შ.)
3.1.ადგილობრივი
3.2. უცხოეთში
4. მეთოდური გამოცდები
4.1. CELTA
4.2. TKT (შეფეასება არანაკლებ Band 3 და Band4
კვალიფიკაცია
1.დამატებითი კვალიფიკაცია (საერთაშორისო ტრენერობა, მულტიპლიკატორობა.)
2.მულტიმედია
3.ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის ტრენერობა
საუნივერსიტეტო აქტივობა
1. პროგრამების, სილაბუსების შემუშავებაში მონაწილეობა
2.სამაგისტრო/სადოქტორო საგამოცდო ტესტების შემუშავება/შედგენა
3.სამაგისტრო და სადოქტორო ტესტების გასწორება, საორგანიზაციო საკითხები.
პუბლიკაციები
1.დარგობრივი სახელმძღვანელო
2.ლექსიკონი
3. მეთოდური სტატიები
4.ქართულის, როგორც უცხო ენის მეთოდური გამოცემები, სახელმძღვანელოები
კონფერენციები
1. ადგილობრივი მეთოდურ კონფერენციაში მონაწილეობა მოხსენებით
2. საერთ. მეთოდურ კონფერენციაში მონაწილეობა მოხსენებით